



შპს თბილისის დავით
აგმაშენებლის
სასწავლო უნივერსიტეტის

უმაღლესი განათლების ფაკულტეტის
დებულება

2019 წ.

მუხლი 1. უმაღლესი განათლების ფაკულტეტი

- 1.1. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში-სასწავლო უნივერსიტეტი) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულია უმაღლესი განათლების ფაკულტეტი (შემდგომში-ფაკულტეტი).
- 1.2. ფაკულტეტს ხელმძღვანელობს დეკანი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, იგი ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოსა და რექტორის წინაშე.
- 1.3. ფაკულტეტი აერთიანებს შესაბამისი მიმართულების აკადემიურ პერსონალს (პროფესორას, გარდა აკადემიური საბჭოს წევრებისა) და მოწვეული პერსონალის, უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების განხორციელებას და სტუდენტების მომზადებას შესაბამის სპეციალობებში.
- 1.4. ფაკულტეტის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის ადმინისტრაცია და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული (ლექტორი) პერსონალი (გარდა აკადემიური საბჭოს წევრებისა).
- 1.5. სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტის საქმიანობაზე აკადემიური საბჭოსა და რექტორის წინაშე პასუხისმგებელია ფაკულტეტის დეკანი.
- 1.6. ფაკულტეტის მართვის ორგანოები/მმართველი სუბიექტებია:
 - ა) ფაკულტეტის საბჭო ;
 - ბ) დეკანატი;
 - გ) დარგობრივი სკოლები.

მუხლი 2. ფაკულტეტის საბჭო:

- 2.1. ანიჭებს საბაკალავრო და სამაგისტრო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებს აკადემიურ ხარისხს საკანონმდებლო რეგულაციების შესაბამისად, რისთვისაც ფაკულტეტის საბჭოზე რექტორის ბრძანებით იქმნება საკვალიფიკაციო კომისია/კომისიები საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების მიხედვით;
- 2.2. ადგენს საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად შიდა სასწავლო საუნივერსიტეტო გამოცდას/გამოცდებს და ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს საგამოცდო საკითხებს;

- 2.3. უზრუნველყოფს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების გამოცდის/გამოცდების ჩატარებას;
- 2.4. ფაკულტეტზე აკადემიური კონკურსის გამოცხადების საჭიროების თაობაზე მიმართავენ სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს კონკურსის გამოცხადების შესახებ;
- 2.5. მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და მოდიფიცირების, მათი სრულყოფის პროცესში;
- 2.6. ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით მათთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 3. ფაკულტეტის საბჭოს შექმნისა და მუშაობის წესი

- 3.1 ფაკულტეტის საბჭო არის ფაკულტეტის კოლეგიალური, წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის შემადგენლობაში მონაწილეობა შეუძლიათ: ფაკულტეტის დეკანს, სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს, დარგობრივი მიმართულების ხელმძღვანელებსა და სტუდენტებს.
- 3.2 ფაკულტეტის საბჭო შედგება 9 წევრისაგან, მათ შორის არის: ერთი წევრი-ფაკულტეტის დეკანი, სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური პერსონალის შვიდი წევრი და ერთი წევრი სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებიდან.
- 3.3 ფაკულტეტის საბჭოს წევრი შეიძლება გახდეს აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი აკადემიური ან მეცნიერებათა ხარისხის მქონე: პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი.
- 3.4 ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება წინამდებარე დებულებით;
- 3.5 ფაკულტეტის საბჭოს წევრის არჩევის ვადა განისაზღვრება 4 წლით;
- 3.6 ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობა ექვემდებარება განახლებას ერთი მესამედით მისი უფლებამოსილების ვადის ნახევრის გასვლის შემდეგ;
- 3.7 აკადემიურ პერსონალს შორის ფაკულტეტის საბჭოს წევრების არჩევა ხდება ფაკულტეტზე მიმდინარე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებზე დასაქმებული აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან დარგობრივი მიმართულებების შესაბამისად. ყოველ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ფაკულტეტის საბჭოში შესაბამისი წარმომადგენელი. კანდიდატის დასახელება ხდება ფაკულტეტის სხდომაზე, გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრის გზით. თითოეულ წევრს შეუძლია საკუთარი ან/და სხვისი კანდიდატურის დასახელება. ყოველ კანდიდატს კენჭი ეყრება ინდივიდუალურად.
- 3.8 ფაკულტეტის საბჭოს წევრად პირი შეიძლება არჩეულ იქნას ზედიზედ ორჯერ;

- 3.9 ფაკულტეტის საბჭო თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეს ფაკულტეტის საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან.
- 3.10 ფაკულტეტის საბჭოს წევრისთვის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში წინამდებარე დებულებით დადგენილი პროცედურის შესაბამისად ვაკანტური ადგილის დასაკავებლად ტარდება არჩევნები ფაკულტეტის საბჭოს ახალი წევრის გამოსავლენად.
- 3.11 ფაკულტეტის საბჭო თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, კენჭისყრით, ფაკულტეტის საბჭოს დამსწრე წევრთა უმრავლესობით ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობიდან ირჩევს მდივანს.
- 3.12 ფაკულტეტის საბჭო, როგორც წესი, იკრიბება თვეში ერთხელ ან საჭიროებისამებრ. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თავმჯდომარე და ფაკულტეტის საბჭოს მდივანი.
- 3.13 ფაკულტეტის საბჭო ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ნორმატიული აქტებით, სასწავლო უნივერსიტეტის მოქმედი დებულებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად;
- 3.14 ფაკულტეტის საბჭოს მუშაობის ძირითადი პრინციპებია: მიღებული გადაწყვეტილებების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირისთვის; ფაკულტეტის პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების დაცვა; თანასწორუფლებიანობა განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესის, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა; არჩევნების სამართლიანობა და გამჭვირვალობა; კონკურსის საჯაროობა.

მუხლი 4. ფაკულტეტის დეკანატი

4.1. ფაკულტეტის დეკანატის ფუნქციებია:

- ა) ფაკულტეტის სტრუქტურულ-ორგანიზაციული ფუნქციონირების ადმინისტრირება;
- ბ) ფაკულტეტის სასწავლო განრიგისა და სწავლების პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემუშავება;
- გ) სტუდენტთა პირველადი ადმინისტრაციული და სემესტრული რეგისტრაციის სათანადოდ ორგანიზება;
- დ) სტუდენტთა სასწავლო საუნივერსიტეტო პირადი საქმეების წარმოება, მოწესრიგება და შენახვა;
- ე) საგანმანათლებლო დოკუმენტ(ებ)ის გაცემის სათანადოდ ორგანიზება და უზრუნველყოფა;

ვ) ფაკულტეტზე სწავლების ხარისხისა და ეფექტურობის ასამაღლებლად ღონისძიებათა შემუშავება და სწავლებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის კონტროლი;

ზ) თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე საჭირო ინფორმაციის დამუშავება და შესაბამისი დოკუმენტების პროექტების მომზადება;

თ) კომპეტენციის ფარგლებში, დადგენილი წესით სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

4.2. ფაკულტეტის დეკანატის შემადგენლობაში შედის: დეკანი, სასწავლო პროცესის მენეჯერი/მენეჯერები, ელექტრო ბაზების მომსახურეობის მენეჯერი.

4.3. ფაკულტეტს ხელმძღვანელობს დეკანი, რომელიც ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოსა და რექტორის წინაშე.

მუხლი 5. ფაკულტეტის დარგობრივი სკოლები

ა) ფაკულტეტის დარგობრივი სკოლებია: სამართლის, ბიზნეს ადმინისტრირების, ინგლისური ფილოლოგიის და სტომატოლოგიის.

ბ) სკოლებში დარგის შესაბამისად ერთიანდება აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

გ) ფაკულტეტის დარგობრივი სკოლის ფუნქციებია:

გ.ა) დარგობრივი სკოლა წარმართავს მიმართულების შესაბამისად სასწავლო, სამეცნიერო და მეთოდური მუშაობის დაგეგმვას, ორგანიზაციას და კონტროლს;

გ.ბ) განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომების თემატიკას;

გ.გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს ფაკულტეტის სანქოზე აკადემიური, მოწვეული სპეციალისტების პერსონალისა და სტუდენტების დისციპლინური გადაცდომის საკითხის განხილვაში.

მუხლი 6. ფაკულტეტის სკოლის წარმომადგენელი:

ა) დარგობრივი სკოლის წარმომადგენელი შეიძლება იყოს საწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი.

ბ) დარგობრივი სკოლის ხელმძღვანელის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს დარგის აკადემიური პერსონალიდან თითოეულ წევრს. ყოველი კანდიდატის საკითხი განიხილება ინდივიდუალურად.

გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 7. დებულების მიღება, შეცვლა და გაუქმება

დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ბრძანებით.

მუხლი 8. დებულების ძალაში შესვლა

დებულება ძალაში შედის რექტორის ბრძანების გამოცემისთანავე.